



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 24.10.2019 წლის №126/19¹
 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ირაკლი ლაზარაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

მომჩივანები კონკრეტულ საქმეში წარმოადგენენ ბრალდებული პირის მხრიდან დაზარალებულ პირებს. საჩივრის ავტორების განმარტებით, წლების განმავლობაში, სასამართლო პროცესებზე ადვოკატი „დამამცირებელ, ცრუ, ზიზღით სავსე, პირადი სიძულვილით“ გაჯერებულ განცხადებებს აკეთებს მათი მისამართით. მაგალითად ერთ-ერთი პროცესის დროს ადვოკატმა საჩივრის ავტორზე თქვა, რომ „არც ისეთი ჩლუნგია, როგორც ჩანს“. ადვოკატმა საჩივრის ავტორს პროცესზე შემდეგი შინაარსის დამამცირებელი შეკითხვა დაუსვა „შენ ხშირად ტყუილხარ?“ ადვოკატმა გააყალბა მოწმეთა ჩვენებები, რაც აღნიშნულმა მოწმეებმა დაადასტურეს გამოძიებასა და სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებში. ამ ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და დაწყებულია გამოძიება. ადვოკატმა პროკურატურაში დაზარალებულის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი.მან სასამართლოს მიმართა სარჩელით იმ ჟურნალისტის წინააღმდეგ, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებდა. ადვოკატის განმარტებით კი საჩივარში დასახელებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. მათ შორის მის მიმართ არ არის აღძრული არც სისხლის სამართლის საქმე. ადვოკატმა განმარტა, რომ პროცესზე მოწმეები თარჯიმნის მეშვეობით დაიკითხა, მათ ნაწილობრივ განსხვავებული განმარტებები მისცეს, რაც სრულიად არ ნიშნავს, იმას რომ გამოძიების დროს მათი ჩვენებები გაყალბდა. ადვოკატმა დამატებით მიუთითა, რომ საჩივრის ავტორი ხშირად ცვლიდა თავის ჩვენებებს, რასაც ადასტურებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენიც.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა, ადვოკატის დისციპლინირების მოთხოვნით, მომართა ეთიკის კომისიას. ადვოკატმა კი წარმოადგინა ახსნა-განმარტება. საჩივარში მოცემული პრეტენზიების დასაზუსტებლად კოლეგიის მიერ რამდენჯერმე ჩაინიშნა სხდომა საჩივრის ავტორებთან გასაუბრების მიზნით. ისინი კომისიაში არცერთხელ გამოცხადებულან და არც გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე მიუწოდებიათ ინფორმაცია კომისიისთვის.

სამართლებრივი შეფასება

შესაფასებელია ადვოკატმა თავისი განცხადებებით დაარღვია თუ არა სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთა პატივისცემის ეთიკური ვალდებულება, თუ ადვოკატის განცხადებები ექცევა გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოებში? *ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს და დაიცვას სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 5(გ) და ეთიკის კოდექსის მუხლი 9.4). ადვოკატი ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი პირი, სარგებლობს, კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით. საქართველოს კონსტიტუციით (მუხლები 19.3, 24.4) გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც შეიძლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის 1(ბ) მუხლის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ*

¹ <https://gba.ge/pdf/620e39495ea83.pdf/126.19,%20ar%20agdzvra,%2014.02.20.pdf>

დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფით ფაქტს. ის დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (4.1. მუხლი). თუმცა აბსოლუტური პრივილეგია არ ნიშნავს აბსოლუტურ უფლებას და ის შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც აზრი გადმოცემულია უხამსი ფორმით ან შეიცავს პირისპირ შეურაცხყოფას (მუხ. 9.1.). ადვოკატის შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლება უფრო ფართოა. თუმცა ადვოკატი დამატებით შეზღუდულია მაშინ, როდესაც ტრიბუნალის გარეთ აკეთებს ისეთ განცხადებას, რომლის საფუძველზეც ადვოკატად აღიქმება. თავის მხრივ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მისი შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც ლახავს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 38.4 აზუსტებს, რა შემთხვევაში არ სცდება ადვოკატის განცხადება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და ადგენს, რომ ადვოკატს, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, გაკეთებული განცხადებისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. კლიენტის ინტერესად ვერ ჩაითვლება კლიენტის უკანონო მითითება. ამდენად, თუ ადვოკატი კეთილსინდისიერად იცავს კლიენტს, რაშიც უპირველესად კლიენტის კანონიერი ინტერესების კვალიფიციურად და უშიშრად დაცვა მოიაზრება. მას აქვს სასამართლოში მოქმედების სრული თავისუფლება. საჩივრიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა კლიენტს შემდეგი შეკითხვა დაუსვა „შენ ხშირად ტყუილარ?“, ადვოკატის მითითებით საჩივრის ავტორი ხშირად ცვლიდა ჩვენებებს, რასაც ადასტურებს ასევე სასამართლოს განაჩენი. შესაბამისად ადვოკატის მიერ მოწმისთვის ტყუილზე მინიშნება, თუ ასეთი მინიშნება გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, წარმოადგენს კლიენტის ინტერესების კეთილსინდისიერად და უშიშრად დაცვის მაგალითს. ასეთი სახის შეკითხვის ადვოკატისთვის დასმის აკრძალვა მნიშვნელოვნად შეზღუდავდა შეჯიბრებითობის პრინციპს და დაცვის უფლებას. საჩივრის ავტორთა პრეტენზია, რაც ეხება ადვოკატის მიერ, სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის მიმართ, პროკურატურაში საჩივრის წარდგენას, აგრეთვე, ჟურნალისტების წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოების დაწყებას, ვინაიდან ეს პირები წარმოადგენენ მოწინააღმდეგე მხარეს ადვოკატი მოქმედებდა თავისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და მას ამ მოქმედებების განხორციელების უფლება ჰქონდა. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო მოწმეთა ჩვენებების გაყალბებაში ან წინასწარი შეცნობით სასამართლოს წარუდგინა ყალბი მტკიცებულება. კლიენტის მიერ ჩვენების ნაწილობრივად შეცვლა ან უარყოფა, თუნდაც ეს დასტურდებოდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალებით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ჩაითვალოს, რომ ადვოკატმა წინასწარი შეცნობით სასამართლოს წარუდგინა ყალბი მტკიცებულება.

დასკვნა

ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებები ემსახურება კლიენტის კანონიერი ინტერესების დაცვას, შესაბამისად გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჯდება. ადვოკატის მოქმედებებიც მოწინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ პროკურატურისა და სარჩელის შეტანის ნაწილში, წარმოადგენს კლიენტის კანონიერი ინტერესების შესაბამისად მოქმედებას და ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად. რაც შეეხება ადვოკატის მიერ მოწმეთა ჩვენებების გაყალბებას, ეს უკანასკნელი საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არ არსებობს ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრისთვის, საკმარისად, დასაბუთებული ვარაუდი.